ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება

ANTEA POLSKA and Others, Case C-54/21; ECLI:EU:C:2022:888

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

CJEU-ს განმარტებით, შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ კომერციული საიდუმლოების დაცვა, თუმცა ეს თავისთავად არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ეკონომიკური ოპერატორის მიერ კომერციულ საიდუმლოდ წოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ავტომატურად ჩაითვალოს კონფიდენციალურად და დაცული იყო გასაჯაროებისგან.

„47 [...] აღნიშნულთან დაკავშირებით, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 2014/24 მე-18 მუხლი ადგენს ამ დირექტივაში მითითებულ საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პრინციპებს. როგორც ამ დებულების 1-ელი პუნქტიდან გამომდინარეობს, **შემსყიდველი ორგანიზაციები უნდა მოეპყრონ ეკონომიკურ ოპერატორებს „თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე“ და უნდა იმოქმედონ „გამჭვირვალედ...**“ [...].“

„48 [...] **თუმცა, მიუხედავად შემსყიდველი ორგანიზაციების ვალდებულებისა, იმოქმედონ გამჭვირვალედ,** ამ დირექტივის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, **აღნიშნულ უწყებას ეკრძალება ეკონომიკური ოპერატორების მიერ მიწოდებული იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც მათ მიერ დასახელებულ იქნა, როგორც კონფიდენციალური** [...].“

[...]

„56 [...]თუმცა, დირექტივის 2014/24/EU 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, **აკრძალვა იმ ინფორმაციის** გამჟღავნებაზე, რომელიც კონფიდენციალურად არის გადმოცემული, მოქმედია **„თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ... იმ ეროვნული კანონმდებლობით, რომელსაც ექვემდებარება შემსყიდველი ორგანიზაცია** [...].“

„57 [...] ამ მითითებიდან ჩანს, რომ **თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს ბალანსი** დირექტივის 2014/24 შესაბამის დებულებაში მითითებულ **კონფიდენციალურობის მოთხოვნასა და იმ ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს შორის, რომლებიც სხვა ლეგიტიმური ინტერესების, მათ შორის, იმ ინტერესის მატარებელია, რომელიც ცალსახად არის აღნიშნული ამ დებულებაში და გამოიხატება „ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის“ უზრუნველყოფაში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო შესყიდვების პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობა** [...].“

„65 [...] ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ **შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ იქნება ვალდებული მხოლოდ იმის გამო, რომ ეკონომიკური ოპერატორი ამტკიცებს წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურობას;** მას მართებს მოსთხოვოს ამ ოპერატორს, დაასაბუთოს იმ ინფორმაციის რეალურად კონფიდენციალური ხასიათი, რომლის გამჟღავნებაც, მისი მტკიცებით, დაუშვებელია [...].“

„66 [...] გარდა ამისა, კარგი მმართველობის ზოგადი პრინციპის დაცვისა და კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებთან შეთავსების მიზნით, **შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია არა მხოლოდ დაასაბუთოს, თუ რა მიზეზით მიიჩნევს გარკვეულ მონაცემებს კონფიდენციალურად, არამედ, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს შესაძლებელია და თუ ეს თანხვედრაშია მონაცემების კონკრეტული ელემენტების კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობასთან, მოახდინოს აღნიშნული მონაცემების არსებითი შინაარსის ნეიტრალური ფორმით მიწოდება წარუმატებელი პრეტენდენტისთვის**, თუკი ის მოითხოვს ამას, კონკრეტულად, იმ მონაცემების შინაარსის მიწოდება, რომლებიც ეხება გადაწყვეტილების მიღების და წარმატებული ტენდერის ძირითად ასპექტებს [...]“.

[...]

„68 ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, **დირექტივის 2014/24/EU მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტი და 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტი**, ასევე, ამავე დირექტივის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი ერთობლივად **უნდა განიმარტოს, როგორც** საჯარო შესყიდვების შესახებ იმ ეროვნული კანონმდებლობის გამომრიცხავი, რომელიც მოითხოვს, რომ პრეტენდენტების მიერ შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის გაგზავნილი ინფორმაცია, გარდა კომერციული საიდუმლოებისა, უნდა გამოქვეყნდეს მთლიანად ან ეცნობოს სხვა პრეტენდენტებს და ასევე, როგორც **შემსყიდველი ორგანიზაციების იმ პრაქტიკის გამომრიცხავი, რომლის მიხედვით ავტომატურად ხდება კონფიდენციალურად მოპყრობის მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილება, როდესაც საქმე ეხება კომერციულ საიდუმლოებებს** ... [...]“.

მოკლე მიმოხილვა:

კომპანიებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ საჯარო შესყიდვებში, გაასაჩივრეს შესყიდვის შედეგები და მოითხოვეს წვდომა იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მათ კონკურენტ პრეტენდენტს ჰქონდა წარდგენილი, მათ შორის, წვდომა ბიზნესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. კონკურსში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების კონფიდენციალურობის დაცვა, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარი თქვა ამ მასალების სრულ წვდომაზე. **სასამართლოს გადაწყვეტილებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება, ინდივიდუალურად შეაფასოს ინფორმაციის კონფიდენციალურობის სტატუსი და დაადგინოს ბალანსი გამჭვირვალობასა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვას შორის**. ეს გადაწყვეტილება აყალიბებს მკაფიო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის **წევრი ქვეყნების შემსყიდველ ორგანიზაციებს ეკრძალებათ კონფიდენციალურობის მოთხოვნის უპირობოდ მიღება მხოლოდ მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე**. გადაწყვეტილება აძლიერებს გამჭვირვალობის პრინციპს და პრიორიტეტს ანიჭებს ეფექტიან სამართლებრივ დაცვას საჯარო შესყიდვების პროცესში.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XVI-B XVI-C XVI-H
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს 2004/18/EC დირექტივას
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU 21(1)-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 (1-5) მუხლი (სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კონფიდენციალურობის საზღვრები**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2022 წლის 17 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილება, ANTEA POLSKA and Others, ECLI:EU:C:2022:888*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.